

# ჩარლი გასულია, დაელოდეთ


## „ჩარლი ჩაბდინის ქაჯები“ იუბილარის 115 წლისთავი აღნიშნა

გიორგი კალაგოშვილი

„სიმართლე...სიმართლე... მე მხოლოდ ეს მინდა და, თუ ეს შესაძლებელია, ცოტაოდენი ღირსება“, — წერია ჩაბდინის იუბილესადმი მიძღვნილ ბუკლეტში, ხოლო მის ღირსებას ალაღმართალი საზოგადოება ანდერგაუნდში აღმოჩენილ „ჩარლის კლუბში“ მხიარულად აღნიშნავს.

ეს მართლაც დაბადების დღე იყო: ჭრელი, მხიარული, მეგობრების თანხლებითა და დიდი ტორტით, რომელიც ალბათ მხოლოდ იუბილარს არ ერგო. გუმბინდელი დღე ბედნიერი გამოჩენილი იყო იმ ოფიციალურ საღამოებში, რომლებზეც მონოტონურად ჰყვებიან რეჟისორის ბიოგრაფიას და კიდევ უფრო მოსაწყენად ახასიათებენ მის ფილმებს. ჩარლი ჩაბდინის კლუბში აქეთ-იქით დაფანტული ნივთები, რეჟისორის, ხმირ შემთხვევაში კარიკატურული პორტრეტები და ძველი კინოაპარატი სწორედ იმ აურას ქვნიან, რომელშიც სპირიტუალური გატაცების შემთხვევაში, აუცილებლად გამოჩნდებოდა ჩარლი... თუმცა ჩარლი მაინც გამოჩნდა, ოღონდ ამაღრდა და ქაქუჩა ეკრანზე და თავისი ფაქტორების ჩვენებას შეუდგა.

ცნობილი მსახიობი მძივრად ჩაბდინის ადრინდელ შემოქმედებას გაეცნო, რომელსაც აკლია ინტელექტუალური სიმინფე და პრიტანული ხარისხის მარკა. მიუხედავად ამისა, საიუბილეო ჩვენებაზე ვიხილეთ 1914 წელს გაღებული „საქმანი დღე“, „რეკონსტრუქციის“ „მეობლის ოჯახური ცხოვრება“ და „გამამხიარულებელი არი“. მისი მეგობრები, განსაკუთრებით კი ლალი გორგასლიძე,



ჩარლი და ადამიანი და

ქეთი ფანცხავა და ქეთი კურტანიძე ჩატარებული ღონისძიებით კმაყოფილი დარჩნენ და სამომავლოდ ჩარლის ფანებს უფრო მეტს ჰპირდებიან.

ალასინიშავია, რომ 1999 წლის 1-ლი თებერვლიდან საქართველოში ფუნქციონირებს ერთადერთი საბავშვო კინოცენტრი „ფიფია“, რომლის ერთ-ერთი განსტოლება „ჩარლი ჩაბდინის კლუბია“. ცენტრის მიზანია მოზარდთა კულტურულ-ეთიკური აღზრდა, მათი გემოვნების ჩამოყალიბების კურირება, სწორი სარეჟისურაო პოლიტიკის დანერგვა, თემატური და

საქვემოქმედო კინოჩვენებების ორგანიზება, კინოხელოვნებისადმი მიდრეკილების მქონე ბავშვების მოძიება (მათ შორის უნარშეზღუდული და სოციალურად დაუცველი მოზარდები) და სხვა.

კინოცენტრის წყალობით ქართველი ბავშვები ორჯერ ესტუმრნენ დისნილენდს ლოს ანჯელესში, დროთა განმავლობაში გაჩნდა „უოლტ დისნეის კლუბი“, სადაც სხვადასხვა ასაკის განვირანებულ კინოჩვენებებზე შესაძლებლობა აქვთ, უზარუნ მსოფლიო კინოს განაღდების შემოქმედებას.

2003 წლის აგვისტოდან პირ-

ველად საქართველოში საბავშვო კინოცენტრი უზრუნველყოფს ფილმების მოძრაე ჩვენებას (საქართველოს რეგიონები, სკოლა, ბავშვთა სახლი, კოლონია, სამედიცინო ცენტრი, სამხედრო ნაწილი და სხვა). მაშინ როდესაც საქართველოს ფარგლებში ყველაზე მეტი კინოთეატრი თბილისშია, კინოს პოპულარიზაციისთვის მსგავსი „მოძრაე“ აქციის გამართვა ერთადერთი გზაა.

ფაქტობრივად, რეჟისორების საიუბილეო საღამოებზე დახელოვნებული ორგანიზატორები ახლო მომავალში „ქეთი და კოტეს“

საიუბილეო ჩვენებას გეგმავენ, მაგრამ ამ პროექტზე ჯერ კიდევ მუშაობენ. ამასთანავე, შემუშავებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას და ინტეგრაციას ისახავს მიზნად. ასეთ სერიოზულ ღონისძიებას „ფიფიასგან“, რომელსაც არც შევიდ ვუფა ეხმარება და არც ბიზნესელიტა, რა თქმა უნდა, არავინ ელოდა.

სამომავლოდ საბავშვო კინოცენტრი წარმოადგენს დოკუმენტურ ფილმ „გვიყვარდეს ერთმანეთი“ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია), „და იყო კინო...“ (საიუბილეო საღამოების პროგრამა), კულტურული პროგრამა — მოგზაურობა დისნილენდში, „ჩარლი ჩაბდინის სამყარო“ (რომელსაც ჩაფიქრებული აქვს ურთიერთადაწმინდობა სხვა ქვეყნებში არსებულ ჩარლი ჩაბდინის კლუბებთან და მუზეუმებთან), კინო და ტურისტული კლუბის ახალგაზრდული ექსკურსიების პროგრამის „მეგობრივი საქართველო“ პრეზენტაცია და სხვა.

კინოცენტრში მიმდინარეობს ქართული კინოსტორიის საარქივო მასალების მოძიება-დამუშავება თანამედროვე ახალგაზრდული კინოკატალოგის შექმნის მიზნით. ამის დანაკლის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე განიცდინა და ჩარლის მეგობრების ყველაზე მათაც გამოადგებათ. როგორც ჩანს, კატალოგის გამოშვება 2006 წლისთვისაა დაგეგმილი და ის თბილისის პირველი კინოთეატრის (მუშეაიდის ბაღი) 100 წლის იუბილეს მიეძღვნება.

# ფოტოგრაფიის გავრდილი თავსოტოკა გავშვები

## ნათელა გრიგალაშვილის არადისფანქიური სოფალი

ია ვაჟა

სოფლის ბავშვები ფეხმძივლები დარბიან მოუკირწყლავ გზაზე, მოხუცი გაყვითლებული თითები ეწევა თუთუნს, გლეხი ყელს ჭრის ხარს, რომელიც ერთ დროს მინის დამუშავებაში ეხმარებოდა — ეს არის ნათელა გრიგალაშვილის ფოტობიექტივის მონაპოვარი, რომელსაც მისი გამოფენის ორგანიზატორებმა რატომღაც დისფუნქციური ქვეყანა უწოდეს. თავად ფოტოგრაფი შეიძლება არც ეთანხმებოდეს ამ სახელწოდებას, რადგან მიაჩნია, რომ ყველაზე ცოცხალი, ბუნებრივი და ხალასი ცხოვრება დიდი ქალაქიდან შორს, სოფლებშია.

დისფუნქციური, ანუ შეუმდგარი ქვეყანა, ნათელა გრიგალაშვილის ექსპოზიციას პროექტ „საზოგადოება და არტიზიების“ ორგანიზატორებმა უწოდეს. გამოფენა გალერეა „კოპალაში“ გუმბინ გაიხსნა და მასზე ოცამდე გრიგალაშვილისთვის ტიპური ნამუშევარი წარმოდგენილი. მუხისა და თეთრის ფოტოგრაფიული სინთეზი სწორედ ის ვიზუალური საშუალებაა, რომლის გამოყენებითაც ფოტოგრაფი უბრალო გლეხისა და თავგადასოვილი უპატრონო ბავშვის თვალებში გახეხავს.

**ნათელა გრიგალაშვილი:** „ახლა ჩვენს ქვეყანაში ფოტოგრაფიისთვის ყველაზე საინტერესო პერიოდი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ყურადღების ცენტრში მხოლოდ კანცელარია და პარლამენტში მიმდინარე მოვლენები უნდა მოხდეს — ქვეყანაში უფრო ვიზუალური და, ამავდროულად, უცხადური რამ ხდება.“  
თუმცა ეს ყველაფერი შესაძლოა უცნაური მხოლოდ გრიგალაშვილის ფოტოების

მნახველისთვის იყოს. თავად ფოტოგრაფი ამით ცხოვრობს — მისი სოფლის ის სუფთა ტილოა, რომელზეც შავ-თეთრი ფერებით იქაურ ცხოვრებას ხატავს. ნათელა გრიგალაშვილი თავისი ნამუშევრების თითქმის ყველა პერსონაჟს იცნობს. იცის, ვის როგორ რაკურსით უყვარს ფოტოს გადაღება, ვინ მორცხვობს და ვის უყვარს პოზირება ობიექტივის წინ. გრიგალაშვილის რამდენიმე ფოტოში ერთი ადამიანის სახე რამდენჯერმე მეორდება, ზოგან მუშაობის განაღდადლო, ზოგან — თანასოფლებთან ერთად ზის „ბირფაზე“. გრიგალაშვილის ფოტოებში ბავშვებიც იხრდებიან — თავსოტოგრაფი და მოუსვენრები.

**ნათელა გრიგალაშვილი:** „კონცეპტობ მთის გადაღებაზე. საშუალება რომ მქონდეს, რამდენიმე თვის განმავლობაში მთაში ვიცხოვრებდი. ბედნიერია ის, ვინც ყოველდღე იქაურ სილამაზეს უყურებს. თუმცა ჩემი საყვარელი თემა მაინც სოფელია. იქაური ხალხი საოცრად გახსნილი და ბუნებრივია. არასდროს მალავს სახეს და არ აქვთ აგრესია ფოტოაპარატის მიმართ. ამ ფოტოებში ჩემი ცხოვრებაც ჩანს, თითქმის ყველა ფოტოს პერსონაჟი ვარ.“

გალერეა „კოპალაში“ მოულოდნელად ესტუმრა სანდრა რულოვსკი, რომელსაც გამოფენის მოსაწვევი შემთხვევით ჩაუვარდა ხელში. იგი ყველა ფოტოს წინ დიდხანს ჩერდებოდა და ავტორს მათზე აღნიშნული ადამიანების შესახებ ეკითხებოდა. ერთ-ერთ ფოტოზე სოფლის მოსახლეობა ეკლესიისკენ მიმავალ გზას ადგას, თუმცა ეკლესია კადრში არ ჩანს. ქვეყნის პირველმა ქალბატონად ამ ფოტოს ყურებისას მოულოდნელად იკითხა: „ისინი ეკლესიაში მიდიან? რატომღაც, უცვებ ასე გავიფიქრე...“



ნათელა გრიგალაშვილი და სანდრა რულოვსკი

**ავალორძინოთ ჩვენი დედაქალაქის სინამდებარე!**

გთხოვთ, დაეხმაროთ ჩვენი დედაქალაქის მფარველი წმინდანის, აბო თბილელის სახელობის მუხენიერე ეკლესიას. იგი მდებარეობს მეტეხის ხიდთან - სწორედ იქ, სადაც დანვს წმინდა დიდმონაღმ აბო თბილელის წმინდა სხეული. თქვენს მიერ გაღებული ყოველი მცირედი თანხაც კი მნიშვნელოვანი იქნება თბილისის ამ უწმინდესი ადგილის წარმოჩენის საქმეში.

წმინდა აბო თბილელის სახელობის ეკლესიის საბანკო ანგარიში ლარებში: №3608080457, თბილენიერე ეკლესიის ბანკი, ს/ა 900161397, მფო 22011997, საქართველოს ეროვნული ბანკი.